

პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება	პროგრამის კოდი საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის მიხედვით:	30091-05
	Business Administration	პროგრამის შიდა აღნიშვნა:	DBA

უმაღლესი განათლების საფეხური	III (დოქტორანტურა)	საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონე:	VIII
მიმართულება სპეციალობა სპეციალიზაცია	ბიზნესის ადმინისტრირება (კოდი: 02) - -		
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი PhD in Business Administration	კვალიფიკაციის კოდი:	02
სწავლების ენა	ქართული		
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	180 ECTS ბტუ-ში 1 კრედიტი = 25 სთ. პროგრამის ხანგრძლივობა - მინიმუმ 3, მაქსიმუმ 5 აკადემიური წელი (მაქსიმუმ 10 სემესტრი). პროგრამით გათვალისწინებული ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება წინამდებარე პროგრამის და ბტუ-ში მოქმედი დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებით პროგრამისთვის დადგენილი კრედიტის დაგროვების შედეგად.		
პროგრამის დამტკიცების აქტი	აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით: პროგრამის დამტკიცება (23.08.2016, 06.12.2016); ბოლო ცვლილებები (ოქმი №21, 24.09.2018)		
გადაწყვეტილება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ	№ 05, 05.01.2017		
პროგრამის ხელმძღვანელი	ნინო ენუქიძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი	Tel.: (+995) 599701080 Email: nino.enukidze@btu.edu.ge	

პროგრამაზე დაშვება

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის (მ. 50) შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება: 1) მაგისტრის აკადემიური/მასთან გათანაბრებული ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ან მაგისტრის აკადემიური/მასთან გათანაბრებული ხარისხი ნებისმიერი მიმართულებით და მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილება ბიზნესის/ეკონომიკის სფეროში; 2) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც შეიძლება დასტურდებოდეს ინგლისურენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომით (დიპლომის ავთენტიკობა უნდა იყოს დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ), ბტუ-ს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატით (მაგ., TOEFL (P/B 513-547) (I/B 65-78p), IELTS (5.5-6p), FCE); სერტიფიკატის წარმოდგენისა და ინგლისური ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან დოქტორანტობის კანდიდატები, რომლებსაც აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა და შესარჩევი კონკურსის დაძლევა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით დოქტორანტებისათვის (უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბტუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით). პირი, რომელსაც პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, ვალდებულია დაადასტუროს ქართული ენის B2 დონის ფლობა (წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი (არსებობის შემთხვევაში) ან გაიაროს შიდა გამოცდა (ტესტირება) ქართულ ენაში; სერტიფიკატის წარმოდგენისა და ქართულ ენაში ტესტირებისაგან თავისუფლდებიან პროგრამაზე სწავლის მსურველები, რომლებსაც აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ქართულენოვანი პროგრამის შესწავლის შედეგად.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სტრუქტურის შედგენისას გათვალისწინებულია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის მომზადების სპეციფიკა. პროგრამის მოცულობა (180 ECTS) ნაწილდება პროგრამის კომპონენტს შორის: 60 ECTS - სასწავლო კომპონენტი და 120 ECTS - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი. პროგრამის განხორციელება, დოქტორანტის, ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება და სხვ. რეგულირდება ბტუ-ში მოქმედი დოქტორანტურის დებულებით (იხ. ბტუ-ს ვებგვერდი <https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi>).

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც თავის წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, რაც თანხვედრაშია ბტუ-ს მიზანთან, ხელს შეუწყობს კვლევის შემდგომ განვითარებას და ამ გზით მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის მასშტაბით ინტელექტუალური მიგრაციის შემცირებაში. ასევე, პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს პროფესიონალები, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ უახლეს მეთოდოლოგიებზე დამყარებული ინოვაციური კვლევები ბიზნესის მიმართულებით;
- მისცეს შესაძლებლობა დოქტორანტებს, გააღრმავონ ან შექმნან ახალი ცოდნა ციფრული მეწარმეობის, ციფრული ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში მიმდინარე აქტუალური პროცესების გარშემო;
- შეასწავლოს დოქტორანტს ემპირიული მეთოდები და მისცეს უნიკალური შანსი დამოუკიდებლად ააგოს თავისი კვლევის სტატისტიკური მოდელი, რაც მას დაეხმარება დაადგინოს ცვლადებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი;
- ხელი შეუწყოს ბიზნესისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტერდისციპლინარულ კვლევებს, ინოვაციური და შემოქმედებითი იდეების გენერირებას, ჰიპოთეზების შექმნას და ამ იდეების შეფასებისა და განხორციელებისათვის საჭირო ანალიტიკური უნარის გამომუშავებას;
- შესაძლებლობა მისცეს დოქტორანტს გაუზიაროს სამეცნიერო კვლევის შედეგები და მიგნებები აკადემიური და პროფესიულ საზოგადოებას;
- მისცეს ცოდნა კურსდამთავრებულს სწავლების თანამედროვე მეთოდებში, რათა ჩაერთოს სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის და სწავლების ეფექტიანი ინტეგრაციისთვის.

პროგრამის შედეგები (ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა, ავტონომიურობა)

- | | |
|---|---|
| 1 | <ul style="list-style-type: none"> ▪ კურსდამთავრებულს აქვს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ფუნდამენტური ცოდნა, რომელიც ეფუძნება ბიზნესის მართვის სფეროში ინოვაციურ კვლევებსა და მიდგომებს; ▪ კურსდამთავრებული აცნობიერებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საკვლევე საკითხის შესახებ ცოდნის განახლებულ ფარგლებს არსებული ცოდნის ხელახლა გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით; ▪ კურსდამთავრებული ფლობს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს, ხერხებს, კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს; ▪ კურსდამთავრებული ფლობს დასკვნითი სტატისტიკის მეთოდებს (t სტატისტიკა, ფაქტორული ანალიზი, იერარქიული წრფივი მოდელი, რეგრესიული ანალიზი). |
|---|---|

2	<ul style="list-style-type: none"> კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესის სფეროში საკვლევი საკითხის განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული უახლესი ცოდნის ანალიზი; კურსდამთავრებულს შეუძლია არსებული ცოდნის ხელახლა გააზრება და გაფართოება კვლევის, სტატისტიკური და სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენების გზით; კურსდამთავრებული იმუშავებს კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც ორიენტირებულია სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე; კურსდამთავრებული დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს ინოვაციურ კვლევებს; კურსდამთავრებული აკადემიურ კონტექსტში ხელს უწყობს ბიზნესის სფეროს გავითარებას და შეუძლია სასწავლო კონტექსტის შესაბამისად სწავლების და შეფასების ეფექტური სტრატეგიების განსაზღვრა და გამოყენება; კურსდამთავრებულს შეუძლია პრაქტიკულ საქმიანობაში ახალი ცოდნის გამოყენება, კვლევის შედეგად, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება და ბიზნეს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.
3	<ul style="list-style-type: none"> კურსდამთავრებული საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე, შეიმუშავებს შესაბამის მეთოდოლოგიას და ხელს უწყობს მის განვითარებას; კურსდამთავრებულს შეუძლია მის კვლევაში გამოყენებულ ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა; კურსდამთავრებულს შეუძლია შერჩეულ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებული თანამედროვე მიდგომების და წინააღმდეგობრივი იდეების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; კურსდამთავრებულს შეუძლია დასაბუთებული დასკვნების გაკეთება და მისი გადაჭრის მიზნით სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.
4	<ul style="list-style-type: none"> კურსდამთავრებული კვლევის შედეგებსა და მიგნებებს, რეკომენდაციების სახით წარუდგენს: ბიზნეს სექტორს (მათ შორის უცხოელ ინვესტორებს), ქვეყნის ეკონომიკური გუნდის წევრებსა და ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელებს; კურსდამთავრებულს შეუძლია არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში საკითხის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა; კურსდამთავრებული ერთვება სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ დისკურსში საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციებითა და ზოგადი და სპეციალური ხასიათის ბიზნესის საკითხების განხილვაში მონაწილეობით ქართულ და უცხო ენებზე.
5	<ul style="list-style-type: none"> კურსდამთავრებული ჩართულია ახალი იდეების და პროცესების ჩამოყალიბებაში, განვითარებისათვის დამოუკიდებლად ერთვება სწავლისა და კვლევით პროცესში; კურსდამთავრებული მუდმივად ანახლებს საკვლევი საკითხების ირგვლივ არსებულ ცოდნას (ამისათვის უნივერსიტეტი მას საშუალებას აძლევს უფასოდ გამოიყენოს მის საკუთრებაში არსებული საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების ნუსხა, საერთაშორისო კავშირები და ბიბლიოთეკა პოსტადოქტორო კვლევების განსახორციელებლად); კურსდამთავრებული მზადაა განავითაროს ინოვაციური იდეები ან/და პროცესები, მიმართოს საკუთარი დრო და რესურსები ახალი ცოდნის შექმნისაკენ.
6	<ul style="list-style-type: none"> კურსდამთავრებული იცავს აკადემიურ პატიოსნების პრინციპებს და სამეცნიერო ეთიკის ნორმებს; კურსდამთავრებული იკვლევს ღირებულებათა დამკვიდრების ახალ გზებს და იმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს მათ დასამკვიდრებლად.
<p>კურსდამთავრებულის ზოგადი კომპეტენციები</p>	
☑	<p>ინსტრუმენტული კომპეტენციები (იდენტიფიცირდება ზოგად და დარგობრივ ცოდნასთან; კოგნიტურ უნარებთან (მაგ., ინფორმაციის/იდეების გააზრების, ოპერირების, გაგნობიერების, გამოყენების უნარი, ანალიტიკური უნარები, პრობლემის გადაჭრის გზის განსაზღვრის უნარი); მეთოდოლოგიურ უნარებთან (მაგ., დროის მართვის უნარი, სამუშაოს/საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი, გადაწყვეტილების მიღების ან პრობლემის გადაჭრის უნარი); ტექნოლოგიურ უნარებთან (მაგ., ტექნიკური საშუალებების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, ინფორმაციის მართვის უნარი, სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიების და შერჩევის უნარი), ლინგვისტურ უნარებთან (მაგ., წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, უცხოური ენის ფლობა)</p>
☑	<p>ინტერპერსონალური კომპეტენციები (იდენტიფიცირდება დოქტორანტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან და თვისებებთან (მაგ., წარმატებისკენ და თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა, ლიდერობა, კრეატიულობა, სიტუაციის კრიტიკული გააზრების და შეფასების უნარი, დამოკიდებულებების და მოსაზრებების გამოხატვის უნარი, თვითკრიტიკის და თვითშეფასების უნარი, ინდივიდუალურად/დამოუკიდებლად მუშაობის უნარი); სოციალურ უნარებთან (მაგ., პიროვნებათშორისი ურთიერთობები, გუნდში მუშაობის და თანამშრომლობის უნარი, სოციალური და ეთიკური ღირებულებების გააზრების უნარი, კრიტიკულ სიტუაციებში ადეკვატური ქცევის უნარი, სხვ., რომლებიც წარმოადგენენ სოციალური ინტეგრაციის და კოოპერაციის საფუძველს)</p>
☑	<p>სისტემური კომპეტენციები (ასახვენ ცოდნის, გაგნობიერების და დამოკიდებულებების ერთობლიობის გაგნობიერების, მთლიანის შემადგენელი ნაწილების დანახვის, ერთიან სისტემაში მათი ადგილის, ურთიერთკავშირის და ერთიანობის გააზრების უნარი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, სწავლის და სწავლების უნარი, ახალ/გაუთვალისწინებულ სიტუაციებთან ადაპტირების უნარი, პროექტების მართვის უნარი, ცვლილებების დაგეგმვის უნარი, ინოვაციური საქმიანობის უნარი, კვლევის უნარი, ახალი იდეების გენერირების უნარი, ლიდერობის უნარები, და სხვ.)</p>

სწავლება-სწავლის მეთოდები

სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები და ხერხები, როგორცაა მაგ.: წერითი და ვერბალური, დემონსტრირების, პრეზენტაციის, ელექტრონული რესურსით სწავლების, დისკუსია-დებატების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, შემთხვევის ანალიზის, ურთიერთშეფასების, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, გონებრივი იერიშის, პრაქტიკული მუშაობის მეთოდები და სხვ. გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ პროგრამის სასწავლო კომპონენტით დაგეგმილი დარგობრივი და/ან ზოგადი, ტრანსფერული კომპეტენციების მიღწევას, სამეცნიერო კომპონენტში - კვლევის უნარების სრულყოფას, პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა კი - პროგრამით დაგეგმილი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის ჩამოყალიბებას.

შეფასების ზოგადი წესი

1. დოქტორანტთა შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი 100-ქულიანი სისტემით.
2. პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება:
 1. შეფასების სისტემა

შეფასებები	ქულა	შეფასება	
5 დადებითი შეფასება	91 - 100	A	ფრიადი
	81 - 90	B	ძალიან კარგი
	71 - 80	C	კარგი
	61 - 70	D	დამაკმაყოფილებელი
	51 - 60	E	საკმარისი
2 უარყოფითი შეფასება	41 - 50	Fx	ვერ ჩააბარა (დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
	40 - 0	F	ჩაიჭრა - დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

2. შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურს და დასკვნითს, რომელთა ჯამი წარმოადგენს პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებას;
 3. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;
 4. დასკვნით შეფასებაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელსაც შეფასების შუალედურ ფორმაში გადალახული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;
 5. დასკვნითი შეფასების ფორმა დაძლეულად ითვლება ამ ფორმისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში;
 6. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით;
 7. Fx შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი დასკვნითი შეფასება დანიშნება დასკვნითი შეფასების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 05 კალენდარულ დღეში;
 8. დამატებით დასკვნით შეფასებაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში უკვე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით შეფასებაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით შეფასებაზე მიღებული ქულების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფორმდება შეფასება F (0 ქულა). დოქტორანტს ეძლევა პროგრამის კომპონენტის სამჯერ შესწავლის შესაძლებლობა;
 9. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ დოქტორანტის მიერ პროგრამის კომპონენტის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შედეგად, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით;
3. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (დისერტაციის) შეფასება:
 1. შეფასების სისტემა

	ქულა	შეფასება
summa cum laude	91 - 100	ფრიადი - შესანიშნავი ნაშრომი
magna cum laude	81 - 90	ძალიან კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება
cum laude	71 - 80	კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება
bene	61 - 70	საშუალო - შედეგი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს
rite	51 - 60	დამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს
insufficienter	41 - 50	არადამაკმაყოფილებელი - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო
sub omni canone	40 - 0	სრულიად არადამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს

2. დისერტაცია უნდა შეფასდეს იმ სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია შეფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). დისერტაციის შეფასებას ახდენს სადისერტაციო (დარგობრივი) კომისია. დისერტაცია დაცულად მიიჩნევა, თუ სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს დადგენილი მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 51%-ს;
3. შეფასება „insufficienter“ (41-50 ქულა) მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადაამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი;
4. შეფასება „sub omni canone“ (0-40 ქულა) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს ოგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დასაქმების შესაძლო სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- დარგის შესაბამის აკადემიურ საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებში;
- ბიზნეს-სექტორში მაღალი რგოლის თანამდებობაზე;
- შესაბამისი პროფილის სახელმწიფო სექტორის დაწესებულებებში მაღალი დონის თანამდებობაზე;
- ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში ბიზნესის სექტორის შეფასებებისა და კვლევების კუთხით.

პროგრამის მატერიალური რესურსი

პროგრამა ხორციელდება ბტუ-ს ბაზაზე შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით და უზრუნველყოფილია აუცილებელი რესურსით: ბტუ-ს ბაზაზე შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით. ბტუ-ს ბაზა მოიცავს თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკის (წიგნადი (ბეჭდვური და ელ.მატარებლებზე) ფონდს და მასში არსებული სამეცნიერო ელ.ბაზებს, კვლევების, განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის რესურსებს, ბტუ-ს კომპიუტერულ ბაზას და სხვ. პროგრამის კომპონენტები განხორციელდება ბტუ-ს ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებით. პროგრამის განმახორციელებელ პირებს და დოქტორანტებს აქვთ წვდომა უახლეს ლიტერატურასთან, იქნება გამოყენებული საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების ბაზა, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ მსხვილ ორგანიზაციებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და სხვა.

პროგრამის ფინანსური რესურსი

პროგრამა ხორციელდება ბტუ-ს ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად - ბტუ-ს სტრატეგიიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია ბტუ-ს ბიუჯეტით: ბტუ ორიენტირებულია კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე, რაც ასახულია მის საბიუჯეტო გეგმაში. ბტუ აცნობიერებს რა, კვლევის როლს ქვეყნის გარდამავალ ეკონომიკაში, უზრუნველყოფს წარმატებულ დოქტორანტებს კვლევითი სტიპენდიით. ასევე, ბტუ მონაწილეობს მიიღებს პოსტადოქტორო კვლევების დაფინანსებაში, რომლითაც დაინტერესდება ქვეყნის ეკონომიკური გუნდი, ბიზნეს სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები.

პროგრამის ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ბტუ-ს აკადემიური (მათ შორის, აფილირებული) პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული საქმიანობის გამოცდილება, სპეციალური მომზადება და სხვ. კვლევით მუშაობაში დოქტორანტი ითანამშრომლებს: 1) აკადემიურ ხელმძღვანელთან, რომელიც დაეხმარება სადოქტორო საფეხურზე მყოფ პირს სასწავლო-კვლევითი პროცესის დაგეგმვა-განხორციელებაში, სადისერტაციო ნაშრომის სრულფასოვნად შექმნაში; 2) მენტორთან, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი დარგის ექსპერტს/ პრაქტიკოს სპეციალისტს/წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ზედა რგოლის მენეჯერს, რომელთანაც უნივერსიტეტი თანამშრომლობს/ითანამშრომლებს მემორანდუმის ფარგლებში და რომელიც დაეხმარება დოქტორანტს საკვლევი თემატიკის გარშემო უახლესი და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაში, სფეროს ექსპერტებთან შეხვედრებში კვლევის თემატიკიდან გამომდინარე; 3) არსებობის შემთხვევაში - უცხოური უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პროფესორ-მკვლევარებთან, რომელიც გაუზიარებს დოქტორანტს საკვლევი თემატიკის გარშემო არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას, საერთაშორისო პრაქტიკას.

პროგრამის გეგმა

№	კომპონენტი	წინაპირობები	ECTS	სულ სთ	სემესტრები										
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	
მოცულობა: 180 ECTS (1 ECTS = 25 სთ). სტრუქტურა : 1) სასწავლო კომპონენტი 60 ECTS; 2) სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი 120 ECTS.															
სასწავლო კომპონენტი			60												
სავალდებულო ნაწილი			48		30	18									
1.	DBA-01	აკადემიური წერა (ინგლისურ ენაზე)	წინაპირობის გარეშე	6	150	6									
2.	DBA-02	სწავლების თანამედროვე მეთოდები	წინაპირობის გარეშე	6	150	6									
3.	DBA-03	სტატისტიკა	წინაპირობის გარეშე	6	150	6									
4.	DBA-04	კვლევის მეთოდები (რაოდენობრივი, თვისობრივი)	წინაპირობის გარეშე	6	150	6									
5.	DBA-05	პროსპექტუსი (კვლევის პროექტი)	წინაპირობის გარეშე	6	150	6									
6.	DBA-06	პროფესორის ასისტირება (სასწავლო პროცესში პროფესორის ასისტირება)	სწავლების თანამედროვე მეთოდები	18	450		18								
არჩევითი ნაწილი			12			12									
7.	DBA-07	სადისერტაციო პროექტის დიზაინი და მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე	6	150		12								
8.	DBA-08	მარკეტინგული კვლევის მეთოდები	წინაპირობის გარეშე	6	150										
9.	DBA-09	ემპირიული მეთოდები	სტატისტიკა	6	150										
10.	სხვა სასწავლო კურსები (მოიაზრება: განათლების იმავე საფეხურის სხვა უსდ-ს პროგრამით შესწავლილი (ბტუ-ს მიერ წინამდებარე პროგრამის მიზნებისთვის აღიარებული) სასწავლო კურსები).														
სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი			120												
1.	სადისერტაციო ნაშრომი	კვლევის მეთოდები (რაოდენობრივი, თვისობრივი)		120	3000			სამეცნიერო კვლევის პროექტი	სადოქტორო სემინარი					დაცვის მაქსიმალური ვადა	
										სამეცნიერო პუბლიკაციები					

დამატებითი ინფორმაცია დოქტორანტებისათვის

- 1) პროფესორის ასისტენტობა (სასწავლო პროცესში პროფესორის ასისტირება) - ეს კომპონენტი არის სავალდებულო იმ დოქტორანტსთვის, რომელსაც არ აქვს სწავლების გამოცდილება. ამ გამოცდილების მქონე (უნდა იყოს დოკუმენტურად დადასტურებული) დოქტორანტი თავისუფალია თავის არჩევანში: ა) დოქტორანტს შეუძლია გაიაროს კომპონენტი „პროფესორის ასისტირება“ 18 ECTS მოცულობით ან ბ) დოქტორანტისთვის, რომელსაც აქვს პედაგოგიური გამოცდილება და არ სურს სასწავლო საქმიანობის მიმართულებით პროფესორის ასისტირება, სავალდებულო ხდება პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის გაზრდილი მოცულობა (138 ECTS), რაც შეიძლება იყოს დადასტურებული დოქტორანტის დამატებითი პუბლიკაციით, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობით და/ან სხვაგვარად ფორმალური სამეცნიერო საქმიანობით. პროფესორის ასისტირება შესაძლებელია განხორციელდეს წინამდებარე პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულსაგან განსხვავებულ სემესტრში, დოქტორანტის ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც ასახულია დოქტორანტის სასწავლო და კვლევით ინდივიდუალურ გეგმებში;
- 2) სამეცნიერო კვლევის პროექტი - კვლევის პროექტის მომზადება და წარდგენა არ გულისხმობს პროექტის და დოქტორანტის შეფასებას (ქულის და კრედიტის მინიჭებას). პროექტის მომზადების, წარდგენის და განხილვის მიზანია დოქტორანტს დაეხმაროს უფრო ნათლად გამოკვეთოს საკვლევი საკითხი, დააზუსტოს კვლევის ასპექტები/სათაური, უკეთ გაიაზროს და ჩამოაყალიბოს კვლევის კითხვები ან/და ჰიპოთეზები, კვლევის გეგმა, კვლევის მოსალოდნელი შედეგები, კვლევის შეზღუდვები და უპირატესობები, განსხვავებული კუთხით დაინახოს და განსაზღვროს საკვლევი საკითხი და მისი აქტუალობა, მიიღოს რეკომენდაციები და რჩევები. პრეზენტაცია საჯაროა. კვლევის პროექტის მომზადებაში დოქტორანტის საქმიანობას კურირებენ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ბიზნეს მენტორი, უცხოელი პროფესორი;
- 3) სადოქტორო სემინარი - სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში დოქტორანტმა უნდა მოამზადოს და წარადგინოს კვლევითი სადოქტორო სემინარი კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სემინარის მომზადება და წარდგენა არ გულისხმობს ნაშრომის და დოქტორანტის შეფასებას (ქულის და კრედიტის მინიჭებას), სემინარის წარდგენა გულისხმობს როგორც დოქტორანტის მოხსენებას (პრეზენტაციას) კვლევის აქტუალურ საკითხებზე, კვლევის მეთოდოლოგიაზე, კვლევის დაგეგმვას და უკვე მიღწეულ შედეგებზე და სხვ., ისე პრეზენტაციის შემდეგ დოქტორანტისა და კომისიის დისკუსიას, რომლის მიზანია ახალი სამეცნიერო ლიტერატურის, მიღწევების, კვლევის თანამედროვე მეთოდებზე და პრობლემების განხილვა და დოქტორანტისთვის რჩევებისა და რეკომენდაციების მიცემა. პრეზენტაცია საჯაროა. კვლევის პროექტის მომზადებაში დოქტორანტის საქმიანობას კურირებენ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ბიზნეს მენტორი;
- 4) სამეცნიერო პუბლიკაციები - სადისერტაციო თემაზე მუშაობის პროცესში დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს მინიმუმ ორი პუბლიკაცია კვლევის თემაზე: 1) ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში; 2) ერთ-ერთი სტატია შეიძლება იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში ან საქართველოში/უცხოეთში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში. გამოქვეყნებული ნაშრომთან გათანაბრებულია: კვლევის პროცესში/კვლევის შედეგად მიღებული გამოგონების დიპლომი, საავტორო მოწმობა, გამოგონების პატენტი; 3) პუბლიკაცია გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ ჟურნალის შესაბამისი ნომერი უკვე დაბეჭდილია/ოფიციალურად მიღებულია დასაბეჭდად (არსებობს ამის დოკუმენტური დადასტურება), ნაშრომი განთავსებულია ჟურნალის ოფიციალურ ვებგვერდზე;
- 5) პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ბტუ-ში მოქმედი „დოქტორანტურის დებულებით“.